პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 8 (9476) | შაბათი, 10 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე — მოწინავე.

მზადება არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).

დავაჩქაროთ საზამთრო სამუშაოები ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. მ. ვარდოსანიძე — პარტბიუროს მდივნის მოადგილე (მე-2 გვერდი).

დიდი რუსი პოეტის ხსოვნის [illegible] (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას. ვ. სანაკოევი — [illegible] პროპაგანდისათვის მოსახლეობაში (მე-2 გვერდი).

ა. ნოზაძე — უფრო კეთილმოწყობილი გავხადოთ რაიონული ცენტრი და საკოლმეურნეო სოფლები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის და რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-3 და 4 გვერდი).

მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე

შარშან საქართველოს მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. მრეწველობის ბევრმა ძირითადმა დარგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა 1952 წლის გეგმები. ჭიათურელმა მაღაროელებმა 14 დეკემბერს გაანაღდეს მარგანეცის მოპოვების გასული წლის საწარმოო პროგრამა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი მისცეს. დიდძალი ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღეს ტყვარჩელელმა მეშახტეებმა. სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს სამეურნეო წელი ზესტაფონელმა მეტალურგებმა და თბილისელმა ჩარხშენებლებმა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და თბილისის კამოლ-მაუდის ფაბრიკის კოლექტივებმა, მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის მთელმა რიგმა საწარმოებმა. ვადამდე შეასრულა ტყვირთხიდვის გეგმა ამიერკავკასიის რკინიგზამ.

გასულ წელს მოპოვებული ყველა მიღწევა იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა განუხრელად ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად დიდი სტალინის მითითებებს. ეს მიღწევები შედეგია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების, პოლიტიკური ჩავარდნების, მუშაობაში დაწერგილი მანკიერი სტილის აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად სტალინურ ოჯახში ქართველი ხალხი მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ. მთელი საბჭოთა ხალხის, მათ შორის ქართველი ხალხის წინსწლის ეს დიადი გზა გაცისკროვნებულია ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიალური იდეებით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. თავდადებული შრომით ისინი გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას დიდი სტალინისადმი.

მიმდინარე წელს, ახალი ხუთწლედის მესამე წელს, დიდი ამოცანებია დასახული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის ყველა დარგის წინაშე. 1953 წელს საქართველოს მრეწველობამ უნდა აითვისოს ახალი მანქანებისა და ჩარხების წარმოება, მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს ქვანახშირისა და მარგანეცის მოპოვება, ფოლადის, ლითონსაჭრელი ჩარხების, საფეიქრო დაზგების, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების წარმოება, შალის, აბრეშუმის, ბამბის ქსოვილების, სატრიკოტაჟო ნაწარმის, ფეხსაცმლის, შეკერილი ტანსაცმლის, კვების პროდუქტების გამოშვება.

ამ დიდი ამოცანების ღრმა შეგნებით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა უმეტესობამ. რედაქციაში ყოველდღიურად მოსული წერილები მოგვითხრობენ იმ შრომითს წარმატებებზე, რომლებსაც ჩვენი მოწინავე საწარმოები და სამშენებლო ორგანიზაციები აღწევენ ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე. ქუთაისს საავტომობილო ქარხნის საამქროთა უმრავლესობა იანვრის პირველი დღეებიდანვე მაღალი მაჩვენებლებით ასრულებს გეგმებს, აუმჯობესებს ხარისხს, ამცირებს წუნს. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს კოლექტივმა იანვრის პირველი ხუთდღიურის დავალება 122 პროცენტით გაანაღდა. ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა 1953 წლის პირველი სამუშაო დღე ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნეს, — ამ დღეს მარტო მეორე სამშენებლო უბნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ჩაასხა 500 კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი. ახალი სამეურნეო წელი კარგად დაიწყეს აგრეთვე მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა.

მაგრამ ზოგიერთი საწარმო მოუმზადებელი შეხვდა ახალ წელს და პირველი დღიდანვე ჩამორჩა გეგმის შესრულებაში. თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა და ლოკომოტივ-სარემონტო ქარხანა, რომლებმაც შარშან სამშობლოს ასეული ათასობით მანეთის პროდუქცია დააკლეს, ახალი წლის პირველი დღეებიდან კვლავ ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ამ საწარმოებში მოუწესრიგებელია შრომა, სრული სიმძლავრით ვერ იყენებენ საწარმოო მოწყობილობას, მუშაობენ იერიშობით და ავარალებით, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, აუარესებს ხარისხს. იანვრის პირველ დღეებში საწარმოო პროგრამა არ შეუსრულებია ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ამ საამქროს კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. იანვრის პირველი დღიდანვე კვლავ შეფერხებით მუშაობს ზუგდიდის აგურის ქარხანა, ვერ ასრულებს ალიზის დამზადებისა და აგურის გამოწვის დავალებას.

ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს უნდა მოვაგონოთ, რომ სახელმწიფო გეგმა კანონია, რომ თვითეული საწარმო მოვალეა შეასრულოს მისთვის დაწესებული დავალება. სოციალისტურ ეკონომიკაში ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ ყოველდღე მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფო გეგმები და დავალებები, ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ვიმუშაოთ რიტმულად, შეუფერხებლად.

დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „ჩვენი გეგმები არის არა გეგმები-პროგნოზები, არა გეგმები-ვარაუდები, არამედ გეგმები-**დირექტივები**, რომელნიც **სავალდებულონი** არიან ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და რომელნიც **განსაზღვრავენ** ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას"...

ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელები საკმაოდ თვლიან შეასრულონ პროდუქციის გამოშვების გეგმები მხოლოდ საერთო მაჩვენებლებით და ივიწყებენ ხარისხს. მუშაობის ასეთი პრაქტიკა დასაგმობია. პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები ის არის, რომ უზრუნველყონ საწარმოო გეგმის აუცილებელი შესრულება ყოველი დღის, დეკადის, თვის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დავალების შესრულებას ასორტიმენტის მიხედვით, ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას, ნედლეულისა და მასალების, ფულადი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვას.

საჭიროა ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე გავაჩაღოთ მუშაობა 1953 წლის საწარმოო პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები ფართოდ ჩავაბათ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მტკიცედ დავრაზმოთ იმისათვის, რომ სახელმწიფო გეგმას ახალი წლის პირველი დღეებიდანვე სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებდეს ყველა ქარხანა, ფაბრიკა, საამქრო, ცვლა, ბრიგადა და თვითეული მუშა. მთელი სამეურნეო საქმიანობა წარმართოთ მაქსიმალური საწარმოო ეფექტის მისაღწევად, ვიმუშაოთ რიტმულად, სრულად გამოვიყენოთ ტექნიკა, ფართოდ დანერგოთ შრომის მოწინავე, რაციონალური მეთოდები, გამოვავლინოთ და ქვეყნის სამსახურში ჩავაყენოთ შიდასაწარმოო რეზერვები.

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე გავაჩაღოთ თავდადებული შრომა მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის ნაწარმოებისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში"

7 იანვარს მოსკოვში გაიხსნა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". სესია მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილებამ და ეკონომიკის ინსტიტუტმა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების კონფერენც-დარბაზში შეიკრიბა სესიის 1.000-მდე მონაწილე. მათ შორის არიან აკადემიკოსები და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები, მეცნიერი მუშაკები — ეკონომისტები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

შესავალ სიტყვაში ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა კ. ვ. ოსტროვიტიანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" უდიდესი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში.

გააკრიტიკა რა თავისი წინანდელი შეცდომები სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის თეორიის დარგში, ორატორმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი, რომლის მთელ რიგ მუშაკებს ჰქონდათ სუბიექტივისტური იდეალისტური შეხედულებანი, ნელა ეწევა თავისი მუშაობის გარდაქმნას, არ გაუჩაღებია ნამდვილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ჯერ კიდევ არ გამხდარა საბჭოთა ეკონომიკური აზროვნების განვითარების ნამდვილი ცენტრი.

ამხ. ოსტროვიტიანოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა შემოქმედებითად დავამუშაოთ პრობლემები, რომლებიც ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომიდან გამომდინარეობენ, შევქმნათ მეცნიერული გამოკვლევანი სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემების შესწავლის დარგში. ეს შრომები ხელს შეუწყობენ სტალინის გენიალური შრომის იდეების ფართო მეცნიერულ პოპულარიზაციას. ეკონომიკის ინსტიტუტმა უნდა გამოსცეს მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც დაეხმარებიან პარტიულ აქტივს, სამეურნეო მუშაკებს და მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასებს დაეუფლონ სოციალიზმის ეკონომიკურ კანონებს და ისარგებლონ ამ კანონებით კომუნისტური შენებლობის პრაქტიკაში.

— საბჭოთა ეკონომისტებმა, — თქვა ორატორმა, — სამეურნეო მუშაკთა ფართო კადრები და კომუნიზმის შენებელთა მილიონიანი მასები ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე უცხო ქვეყნების შრომელნი უნდა შეაიარაღონ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონების სწორი გაგებით და ამ საქმეში იხელმძღვანელონ თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერის ამხანაგ სტალინის გენიალური შრომით.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ფ. ვ. სამოხვალოვმა გააკეთა მოხსენება „ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" ახალი ეტაპია მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში".

აკადემიკოსმა ვ. ს. ნემჩინოვმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ი. ბ. სტალინი საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიკური კანონის შესახებ".

სესია 10 იანვრამდე გასტანს. (საკ. ფსი.).

ნ. ა. ნეკრასოვის გარდაცვალების 75 წლისთავის გამო

პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

8 იანვარს 75 წელი შესრულდა ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვის გარდაცვალების დღიდან. ეს თარიღი ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა აღნიშნა.

მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა კულტურის მოღვაწეები, დედაქალაქის საწარმოთა სტახანოველები, მოსწავლე ახალგაზრდობა, იაროსლავლის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები, ოლქისა, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა პოეტი.

სცენის სიღრმეშია ცოცხალი ყვავილებით მორთული დიდი პორტრეტი ნ. ა. ნეკრასოვისა.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სამახსოვრო თარიღის აღმნიშვნელი კომისიის თავმჯდომარემ სტალინური პრემიის ლაურეატმა პოეტმა მ. ისაკოვსკიმ.

ნ. ა. ნეკრასოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. დრუზინმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა საღამოს მხატვრული ნაწილი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის ხელოვნების ოსტატებმა, რადიოინფორმაციის კომიტეტის გუნდმა და სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა. შესრულებულ იქნა ნეკრასოვის სიტყვებზე შექმნილი სიმღერები, ნაწყვეტები მისი პოემებიდან და ლექსები, რუსული მუსიკის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. (საკ. ფსი.).

ლენინგრადი. ლენინგრადელები დიდი ინტერესით ნახულობენ ნ. ა. ნეკრასოვის ბინა-მუზეუმს ლიტეინი პროსპექტზე. აქ მოთავსებული იყო ჟურნალ „სოვრემენიკის" რედაქცია. ამავე ბინაში ცხოვრობდა, მუშაობდა და გარდაიცვალა პოეტი. **სურათზე:** ბინა-მუზეუმის ერთ-ერთი ოთახი. აქ გაატარა პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები.

ფოტო ვ. ფედოსეევისა (საკ. ფსი. ფოტოქრონიკა).

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს სსრ ხალხური artistis სახელმწიფო ანსამბლის მსახიობებს მიენიჭათ სპეციალური წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა —

ერამაშვილს ნინო შალვას ასულს,

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა —

თაყაიშვილს ილია ალექსანდრეს-ძეს,

კალანდაძეს ვალერიან ემელიანეს-ძეს,

მერაბიშვილს ივანე არკადის-ძეს,

მხეიძეს მარინე ალექსანდრეს ასულს,

სურვილაძეს გიორგი ოსეფის-ძეს,

ყუფარაძეს ვლადიმერ იასონის-ძეს,

ჩახავას ალექსანდრე ნესტორის-ძეს,

ხანდამაშვილს ევგენი გიორგის-ძეს.

მზადება არჩევნებისათვის

აგიტპუნქტი ამ დღეებში

თბილისის ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლის შენობის მეორე სართულზე ნათელ და დიდ ოთახში მოთავსებულია № 31 აგიტპუნქტი. აგიტპუნქტში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ მისი გამგე — მასწავლებელი მარიამ ფილიევა ენერგიულად მუშაობს. აქ ფართოდ არის გამოფენილი პარტიის XIX ყრილობის მასალები, ამხანაგ სტალინის ნაწარმოებები, საარჩევნო ლიტერატურა და ახალი ჟურნალ-გაზეთები; კედლებზე გამოკრულია არჩევნებისადმი მიძღვნილი ლოზუნგები და პლაკატები. შედგენილია აგიტატორთა მორიგეობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელი აგიტატორი რომელ ქუჩაზე და რომელ სახლში ეწევა აგიტაციას.

კედლის გაზეთი „ამომრჩევლის ხმა", რომელიც 5 იანვარს გამოუშვეს, კარგად არის გაფორმებული. სხვა მასალებთან ერთად მოთავსებულია დიასახლისების მ. ჩხიკვაძისა და ე. იაშვილის წერილები.

აგიტპუნქტში 28 აგიტატორი მუშაობს. ისინი სააგიტაციო უბნებში სისტემატურად ეწევიან აგიტაციას, ესაუბრებიან დიასახლისებს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებზე, სტალინურ კონსტიტუციაზე, არჩევნების დებულებაზე, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე, ჩვენი ქვეყნის მიღწევებზე.

მასწავლებლები — აგიტატორები ქ. მანჩხავა, ე. დვალიძე, დ. მესხი, რ. ხუხუნაშვილი, დ. გვალია, შ. ბახტაძე და სხვები კარგად იყენებენ წინა არჩევნებში შეძენილ გამოცდილებას. ისინი განუმარტავენ ამომრჩევლებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, აგიტაციაში იყენებენ თვალსაჩინოობას.

აგიტატორებისათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები. ამ დღეებში გაიმართა ლექცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა" და მოეწყო საუბარი: „აგიტატორების ამოცანები მომავალ არჩევნებში".

მუშაობა უნდა გაძლიერდეს

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება სუსტად მიმდინარეობს ახმეტის რაიონში.

რაიონის ცენტრიდან ერთი კილომეტრის დაშორებით შექმნილია რაიონული საბჭოს არჩევნების უტოს საარჩევნო ოლქი. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ექიმი გ. მოურავიძე. მას არაფერი გაუკეთებია.

არჩევნებისათვის მზადება არ დაუწყიათ აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს — შ. ბალაკაშვილს, ი. ხალხელაურს, თ. ჭრელაშვილს და სხვებს.

რაიონში სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საარჩევნო აგიტაცია. აგიტპუნქტები, რომლებიც საგიტაციო მუშაობის ცენტრს უნდა წარმოადგენდნენ, ბევრ სოფელში არ არის მოწყობილი.

უტოს აგიტკოლექტივს ლ. ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. მან დღემდე არჩევნების შესახებ ერთი სემინარის მოწყობაც ვერ შეძლო. აგიტატორებს — შ. წიკლაურსა და ბ. ომარაშვილს ნოემბრის შემდეგ არცერთი საუბარი არ გაუმართავთ. პარტიის XIX ყრილობის მასალები არათუ სხვებისათვის არ გაუცვნიათ, არამედ ჯერ თვითონაც არ წაუკითხავთ.

პ. ჭიჭიკლიშვილმა გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ კომკავშირის კომიტეტის მდივანია და აგიტატორობა „ზედმეტად" დააკისრეს. იგი საუბრებს არ ატარებს. თვითონაც არ წაუკითხავს არჩევნების დებულება.

მატნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივმა (ხელმძღვანელი პ. გურგუჩიანი) არჩევნებისათვის მზადების დღეებში მუშაობა შეანელა. აგიტატორებს — ი. აზარაშვილს, გ. ტუგულაშვილს და სხვებს ამომრჩევლებისათვის დებულების გაცნობა დღემდე არ გახსენებიათ.

არც მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშია კარგად საქმე. კოლმეურნეობის წევრებმა — ნ. თალიაშვილმა და ზ. ფეიქრიშვილმა განაცხადეს, რომ მათთან აგიტატორები დღემდე არ მისულან.

აგიტატორები არჩევნების დებულების განმარტებას არ შესდგომიან მაღრაანში, ოქიოში, ოსიაურში, შახვეტილასა და სხვა სოფლებში.

როგორც ამ ფაქტებიდან ჩანს, ახმეტის რაიონული ორგანიზაციები ცუდად ხელმძღვანელობენ არჩევნებისათვის მზადებას. დრო არ ითმენს, ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოსწორდეს.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

დავაჩქაროთ საზამთრო სამუშაოები ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში

შრომის სწორად მოწყობის შედეგად სოფელ დვაბზუს „კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ვ. ჯაბუა) თავიდანვე ენერგიულად მოეკიდნენ ჩაის, ციტრუსებისა და სხვა კულტურების ზამთრის სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებას. კოლმეურნეობაში გადაჭარბებით არის შესრულებული ჩაის პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადების, თესვის, პლანტაციებში ახალი სადრენაჟო არხების გაყვანის და სხვათა გეგმები. გაძლიერებული ტემპით წარმოებს ჩაის პლანტაციის დაბარვა და მასში ფოსფოროვანი სასუქის შეტანა. ამ სამუშაოთა შესრულების საქმეში თავი გამოიჩინეს კოლმეურნეებმა — ტ. ჯახუტაიშვილმა, ნ. ფიჩხაძემ, შ. და ვ. ჩხაიძეებმა, ქ. ღლონტმა, მერგოლურებმა — ვ. გოგუაძემ, თ. სკამკოჩიშვილმა, ე. გოლიაძემ, გ. ბასილაიშვილმა, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე ნატანების ბერიას სახელობის, ნაგომრის მოლოტოვის სახელობის, ზვანის ორჯონიკიძის სახელობის, ლაშის მახარაძის სახელობის, სოფელ მახარაძისა და კონჭკათის კოლმეურნეობებმა, ლაითურისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

ასე როდი ითქმის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის შესახებ. ეს კოლმეურნეობა ჩამორჩება ძირითადი სახის სამუშაოებში. ჩაისათვის ნიადაგის მომზადება გაჭიანურეს. ციტრუსების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმაც დროზე არ შეუსრულებიათ.

ამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ორაგველიძე ხშირად წუწუნებს, რომ კოლმეურნეობას თითქოს არა ჰყავს საკმაო მუშახელი. სინამდვილეში იგი ვერ ავლენს ბევრ გამოუყენებელ შრომითს რეზერვებს, ვერ აბამს მათ საკოლმეურნეო შრომაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ის ფაქტიც დავასახელოთ, რომ კოლმეურნეობაში 1952 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველ პერიოდში 230, მეორე პერიოდში 72, ხოლო მესამე პერიოდში 78 შრომისუნარიან კოლმეურნეს არ გამოუმუშავებიათ შრომადღეების საკანონმდებლო მინიმუმი. ეს ხდება მაშინ, როცა ჩაისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგი ძირითადად დაქირავებული მუშახელით არის მომზადებული.

მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ხელსაყრელი ამინდები, უზრუნველყონ ყველა დავალების მაღალხარისხოვნად და ვადაზე შესრულება. (**„კომუნისტის" კორ.**).

ანგისახელმწიფოებრივი ქცევისათვის — მკაცრი სასჯელი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. გომელაურმა, რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს მოტყუების გზას დაადგა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინა არასწორი ცნობები ქარხანაში ფოლადის ზოდების არსებული რაოდენობის შესახებ.

ამ ფაქტის შემოწმების დროს ამხ. გომელაური იქცეოდა ისე, როგორც არ შეჰფერის კომუნისტს, ცდილობდა შეემცირებინა მის მიერ ჩადენილი საქციელის მნიშვნელობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, განიხილა რა საკითხი ამხ. გომელაურის ანტისახელმწიფოებრივი ქცევის შესახებ, გამოუცხადა მას სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

საბჭოთა კავშირში

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

ბეტონის ჩასხმის წინ

ნოვაია კახოვკა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კახოვკის ჰესის მშენებლებმა ჰიდროკვანძის ძირითად ნაგებობებში ნახევარ მილიონზე მეტი კუბური მეტრი ბეტონი უნდა ჩასხან. დნეპრის ნოიოში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ბრძოლა ყველა მოსამზადებელი სამუშაოს შემჭიდროებული გრაფიკის შესრულებისათვის.

იანვრის პირველი დღეებიდან დნეპრმშენებლები შევიდნენ იმ სამუშაოთა უკანასკნელ ეტაპში, რომლებიც წინ უსწრებენ ბეტონის ჩასხმას. სატუმბავმა სადგურებმა კაშხალის ქვაბულში წყალის დონე პირვანდელთან შედარებით 4,7 მეტრით დაადაბლეს. ასობით კუბური მეტრი გრუნტი ამოიღეს მექანიკოსკავატორებმა, რომლებიც წმენდენ ქვაბულის კედლების ფერდობებს. მშენებლობის წარჩინებული ბულდოზერისტი ვალენტინ ნეჩაევი შეუდგა იმ ბეტონსაზიდი ესტაკადის მარცხენა ნაპირის საბრჯენის ქვაბულის გათხრას, რომელმაც უნდა გაიაროს მთელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე. ესტაკადის სიგრძე კილომეტრზე მეტია. თავდაპირველი სიმაღლე 7 მეტრს უდრის. მის ზემოთ ხიდის მალებზე დააგებენ რკინიგზის ორ ლიანდაგს. ჰიდრომექანიკოსებმა ვალდებულება იკისრეს ესტაკადა მაისისათვის ააგონ.

ასეულათასობით კუბური მეტრი ხრეში და ქვიშა, ათასობით ტონა საარმატურო რკინა დასჭირდება ბეტონის დამზადებასა და ჩასხმას. ზაპოროჟიედან და ევპატორიიდან, დნეპრისპირა ქარხნებიდან და დონბასიდან მოდის ამ მასალებით დატვირთული ათობით ეშელონი. პირველი ეშელონები უკვე მივიდა დიად მშენებლობაზე. ბეტონის სამუშაოები პირველ რიგში დაიწყება სანაოსნო რაბის მშენებლობაზე.

კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ჰიდროსადგურის ვადამდე ამუშავებაში. მშენებლობაზე არ არის ისეთი ბრიგადა, რომელიც დავალებას ერთნახევარ-ორჯერ გადამეტებით არ ასრულებდეს.

★ ★ ★

ვოლჟსკი (სტალინგრადის ოლქი). ფართოვდება მუშაობა სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. ახალი წლიდან დაიწყო ხიმინჯების ჩასობა ზღუდარში, რომელიც კუნძულ პესჩანის აღიდებული ვოლგისაგან დაიცავს. გაზაფხულის წყალდიდობამდე მექანიზატორებმა ხუთი ათასამდე ხიმინჯი უნდა ჩაასონ.

შენდება ახალი ნავმისადგომი კუნძულ ზელიონის რაიონში. იგი განკუთვნილი იქნება საშენი მასალებისა და მოწყობილობის მოსატანად, რომელიც ვოლგაზე ნაოსნობის გახსნისას დაიწყება. მოკლე ვადაში მეამწე რილეევის ბრიგადამ აქ 167 ხიმინჯი ჩაასო და ვადამდე შეასრულა მისთვის მინდობილ სამუშაოთა მოცულობა. ყინულის რთულ პირობებში შრომობს № 321 მიწისმწოვი მანქანის ეკიპაჟი, რომელსაც ვოლგა-დონის ყოფილი მშენებელი გრიგორ ტიხონენკო მეთაურობს. ჰიდრომექანიზატორებმა ახალი წლის პირველ დღეებში ამოიღეს და ჩაყარეს 50 ათასამდე კუბური მეტრი გრუნტი.

ვოლგა-ურალის არხის მშენებლობაზე დიდი წარმატება მოიპოვა მექანიზატორთა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელიც წარჩინებული მექანიკოსის, სოციალისტური შრომის გმირის დიმიტრი სლეპუხას ინიციატივით შეიქმნა. სამკუბიანი ექსკავატორის № 573 „ურალეცის“ მემანქანეები იმ ავტომობილისტებთან თანამშრომლობით, რომელთაც კომკავშირელი იური პრონინი ხელმძღვანელობს, ერთნახევარ-ორჯერ გადაჭარბებით ასრულებენ დავალებას. მემანქანე პეტრე მურავიოვმა სარეკორდო გამომუშავებას მიაღწია. ექსკავატორ „ურალეცით“ მან ცვლაში ამოიღო 3.019 კუბური მეტრი გრუნტი ნორმით გათვალისწინებული 1.360 კუბური მეტრის ნაცვლად. თერმეტი ათტონიანი თვითსაცლელი ავტომანქანა ძლივს ასწრებდა მეექსკავატორის მიერ ამოღებული მიწის გაზიდვას.

7 იანვარი (საკდესი).

ნავთობის მრეწველობის მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა

ნავთობის მრეწველობის სამინისტროში შეაჯამეს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის იმ საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები, რომელიც საწარმოებსა და მშენებლობებზე მოეწყო 1952 წელს.

დათვალიერებამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათეულ ათასობით მუშამ, ინჟინერმა და ტექნიკოსმა, ძვირფასი შედეგები მოიტანა. შემოვიდა 70 ათასზე მეტი წინადადება, რომლებიც ეხება შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, საწარმოო რეზერვების გამოვლინებას. წინადადებათა თითქმის ნახევარი უკვე დანერგილია წარმოებაში, რამაც სახელმწიფოს 50 მილიონი მანეთი დაუზოგა.

ბევრ წინადადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ტრესტ „ტუმანზაბურნეფტის“ № 1 სატურბინო ბურღვის კანტორის ინჟინრებისა და ოსტატების ჯგუფმა ჭაბურღილების გათხრა განხორციელა თიხნარის ნაზავის გამოყენებლად. ამ მეთოდის დანერგვამ მარტო შვიდ ჭაბურღილში 77 ათასი მანეთი დაზოგა. იმავე ტრესტში ხიმინჯისა და ბეტონის ფუძეების ნაცვლად ბურღვაში წარმატებით იყენებენ გადასატან ლითონის ბოძკინტებს. ხარჯი თითქმის 80 ათასი მანეთით შემცირდა.

თათრეთში ტრესტ „ბავლინეფტის“ პირველ და მეორე სარეწში ოპერატორი მომსახურებას უწევს არა ერთ ჭაბურღილს, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ოთხს. ამასთან ოპერატორების მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა.

დათვალიერების პერიოდში კოლექტიური სტახანოვური შრომისათვის, თვითეული საწარმოო ოპერაციის ჩინებულად შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება 5 ათასამდე ბრიგადა, საამქრო და უბანი. ათეულ ათასობით მუშამ აიმაღლა კვალიფიკაცია, შეისწავლა მეორე პროფესია. (საკდესი).

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეცამეტე ტომი

მეორე გამოცემა

გამოვიდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-13 ტომი (მეორე გამოცემა). წიგნში შეტანილია სიტყვები „გრუზა“-დან „დემოს“-ამდე.

ტომის ვრცელი სტატიები ასახავენ უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და თარიღებს ჩვენი სამშობლოსა და მომმესლავი ხალხების ისტორიაში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-13 ტომში ასახულია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მასობრივი მოძრაობანი, მიმართულნი ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხები დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-13 ტომში წარმოდგენილია, უწინარეს ყოვლისა, ვრცელი სტატიებით, რომლებიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინის გენიალური შრომებისადმი — „კატასტროფის მუქარა და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას“ და „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი იმ გამოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერას და შემოქმედების დახასიათებას, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში.

ფიზიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიული და ისტორიული ნარკვევები მიძღვნილია დანიისადმი, საქართველოსა და დაღისტნისადმი, აგრეთვე გროზნოს, გურიევის, განჯისა და დაუგავპილსის ოლქებისადმი. (საკდესი).

სათბურების გათბობის ახალი მეთოდები

8 იანვარს მოსკოვის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოში გაიმართა მეცნიერი მუშაკებისა და აგრონომების თათბირი, რომელმაც განიხილა სათბურების გათბობის ახალი მეთოდების დანერგვის საკითხი. თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მებოსტნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის ამხ. ნაცენტოვის ცნობა იმის შესახებ, თუ სათბურების გათბობის სხვადასხვა ხერხი როგორ სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, კემეროვოს მახლობლად, სათბურებს ელექტრობით ათბობენ. მოსკოვის მიდამოებში არსებული გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სათბურში მოწყობილია წყალით გათბობა.

კოლმეურნეობაში „პამიატ ილიჩა“, რომელიც მოსკოვის განაპირას მდებარეობს, წარმატებით იყენებენ სათბურის ორთქლით გათბობას, რომელიც წნევით შედის უშუალოდ გრუნტში. ეს მნიშვნელოვნად აჩქარებს საადგილო ბოსტნეულის მოყვანას. წელს კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ამ მეთოდით გასათბობი სათბურების ფართობი 800 ჩარჩოდან 2 ათასამდე აიყვანონ.

თათბირმა მხარი დაუჭირა სათბურების ტექნიკური ხერხებით გათბობის ფართოდ დანერგვას. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

პარტბიუროს მდივნის მოადგილე

პარტიის XIX ყრილობამ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დიდი ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭირო აქტიურ პარტიულ მუშაობაში ჩავაბათ თვითეული კომუნისტი.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტბიუროს მდივნისა და მისი მოადგილის კოლეგიალურ ხელმძღვანელობას. მოადგილე მოწოდებულია დაეხმაროს პარტბიუროს მდივანს ხელმძღვანელობაში, იყოს მდივნის მარჯვენა ხელი, ისწავლოს მუშაობა ისე, რომ შეეძლოს დამოუკიდებლად უხელმძღვანელოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციას.

თბილისის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის მოადგილეებად ამხ. ვ. ბუაჩიძე და პ. სოლოდი მუშაობენ. ისინი ეხმარებიან მდივანს ამხ. გ. აბელიშვილს, მასთან ერთად ადგენენ სამუშაო გეგმას, თათბირობენ ბიუროს სხდომის თუ პარტიული კრების დღის წესრიგზე, კომუნისტებთან ერთად სწავლობენ საკითხებს.

ამხ. პ. სოლოდი და ვ. ბუაჩიძე გულდასმით ამზადებენ პარტიულ კრებაზე განსახილველ საკითხებს. მათ შეამოწმეს და პარტიულ კრებაზე გამოტანეს პარტიული და შრომის დისციპლინის, მასობრივ-საგიტაციო მუშაობის, ინსტიტუტის ნაბეჭდი შრომებისა და მიღწევების პოპულარიზაციის, პროფკავშირული მუშაობის და სხვა საკითხები.

ამას წინათ პ. სოლოდმა შეამოწმა პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის მიმდინარეობა. პარტიულ კრებაზე გაკეთებული მისი მოხსენება თვითკრიტიკული იყო. მან ილაპარაკა იმაზე, რომ პარტბიუროს მდივანმა ვერ უზრუნველყო სათანადო კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაწევა თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისათვის, ვერ შეძლო მოეწყო თეორიული კონფერენცია. ცუდად დგას ლექციური პროპაგანდა ინსტიტუტის მუშაკთა შორის. მომხსენებელმა დააყენა საკითხი, რომ თვითგანათლებაზე მომუშავე ყველა კომუნისტი სისტემატურად ესწრებოდეს ლექციებს კეცხოველის სახელობის პარტიულ ბიბლიოთეკაში, მოითხოვა, რომ თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისათვის მოეწყოს კონსულტაციები კონსპექტის შედგენისა და სხვა მეთოდურ საკითხებზე. ვ. ბუაჩიძე და პ. სოლოდი მონაწილეობას იღებენ პარტიული კრებების ოქმების გასაორებაში, სწავლობენ საწევრო ანარიცხების აკრეფას, უწყისების შედგენას და სხვ.

მაგრამ ბუაჩიძე და სოლოდი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არიან დაუფლებული პარტიული მუშაობის ხელოვნებას, არ შესწევთ უნარი დამოუკიდებლად უხელმძღვანელონ ორგანიზაციას.

ამხ. ვ. ბუაჩიძე ერთი თვის განმავლობაში ცვლიდა პარტბიუროს მდივანს. მან ვერ შეძლო კომუნისტების დარაზმვა პარტბიუროს გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხის შესასრულებლად. გეგმით გათვალისწინებული იყო პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის მიმდინარეობისა და ასპირანტურის კომუნისტთა მუშაობის საკითხის განხილვა. ამხ. ბუაჩიძემ ვერ უზრუნველყო ამ საკითხების მომზადება. გარდა ამისა, მან ვერ შეძლო კონტროლი გაეწია იმისათვის, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები პარტიულ დავალებებს.

პარტბიუროს საკმაოდ ვერ ეხმარება აგიტატორებს, სისტემატურად არ აწყობს მათთვის ლექციებს მეთოდურ საკითხებზე. იმის გამო, რომ პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ეხმარება ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებსა და ასპირანტებს, მათ მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, არ სრულდება სამეცნიერო თემებით გათვალისწინებული საკითხები.

აშკარად ცუდად მუშაობენ პარტბიუროს მდივნის მოადგილეები თბილისის ბამბის ფაბრიკაში. აქ 1952 წლის ივნისში პარტბიუროს მდივნის მოადგილეებად აირჩიეს ამხ. ვ. ბოიკო და ნ. მანჯგალაძე. თუ როგორ ეხმარებიან ისინი პარტბიუროს მდივანს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად, ამას ცხადყოფს ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა.

ფაბრიკაში ცუდად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. მოსაწყენად, უინტერესოდ ეწყობა პარტიული კრებები, კომუნისტთა მცირე ნაწილი იღებს მონაწილეობას საკითხების განხილვაში. ივნისიდან დღემდე აქ ცხრაჯერ მოიწვიეს პარტიული კრება. ამ კრებებზე განხილული საკითხებიდან შვიდი რეკომენდებული იყო ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ. პარტბიუროს სამუშაო გეგმები ფორმალურად დგება, საკითხების დაყენებაში ინიციატივას არ იჩენენ კომუნისტები. კრებებზე იშვიათად განიხილავენ პარტიული განათლების, საგიტაციო მუშაობის, შრომის დისციპლინის მდგომარეობისა და სხვა საკითხებს.

როდესაც პარტბიუროს წევრებს შორის დავალებანი განაწილდა, ამხ. ვ. ბოიკოს დაეკისრა საგიტაციო, ხოლო ამხ. ნ. მანჯგალაძეს — პროფკავშირული მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

როგორ ასრულებენ ისინი ამ პარტიულ დავალებებს?

ფაბრიკის მუშათა შორის საგიტაციო მუშაობა ჩაშლილია. იდგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო, რომ ფაბრიკაში გაძლიერდებოდა საგიტაციო საქმიანობა, მაგრამ ასე არ მოხდა. მთელი რიგი საცხოვრებელი სახლები უაგიტატორებოდ არის დარჩენილი.

ეს ნაკლოვანებანი შეუმჩნეველი რჩება პარტბიუროს მდივნის მოადგილეს ამხ. ვ. ბოიკოს.

ცუდად მუშაობს ფაბრიკის პროფესიული ორგანიზაციაც. იგი სუსტად ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას, რის გამო ცალკეული მუშები ვერ ასრულებენ აღებულ ვალდებულებებს. მუშებს არ აცნობენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, არ ეწყობა საამქროთა საწარმოო თათბირები, ნაკლები ყურადღება ექცევა შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვას. აქ არც ისე იშვიათია პროფკავშირის ისეთი წევრი, მათ შორის კომუნისტებიც, რომელსაც 3-4 თვის განმავლობაში არ გადაუხდია საწევრო შესატანი.

პარტბიუროს მდივნის მოადგილეების უმოქმედობა იმით აიხსნება, რომ ისინი ჩაბმული არ არიან აქტიურ პარტიულ საქმიანობაში. პარტბიუროს მდივანი მათ არ ავალებს პარტიულ კრებაზე განსახილველი საკითხების მომზადებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძისა და კიროვის რაიკომები ცუდად ეხმარებიან პარტბიუროს მდივნის მოადგილეებს პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დაუფლებაში, არ უწევენ მათ სათანადო ინსტრუქტაჟს, მდივნებთან ერთად არ იწვევენ სემინარებზე. აღნიშნულმა რაიკომებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ პარტიული ბიუროს მდივნებად და მათ მოადგილეებად ბევრგან არჩეული არიან პარტიულ მუშაობაში გამოუცდელი ადამიანები და რომ მათ მეტი დახმარება ესაჭიროებათ.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა მოითხოვს პარტბიუროს მდივნის მოადგილე აქტიურ მონაწილეობას იღებდეს პარტორგანიზაციის მუშაობაში, იჩინდეს ინიციატივას ხელმძღვანელობაში. პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დაუფლებაში მოადგილეებს ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდნენ პარტბიუროს მდივნები, პარტიის რაიონული კომიტეტები.

მ. ვარდოსანიძე.

სემინარი რკინიგზის პოლიტმუშაკებისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებამ გზის პოლიტმუშაკებისათვის მოაწყო ორკვირიანი სემინარი, რომელშიც 28 კაცი იღებდა მონაწილეობას. სემინარზე წაკითხულ იქნა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომისადმი — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიძღვნილი ლექციები.

გარდა ამისა, წაკითხულ იქნა ლექციები სოციალისტური ტრანსპორტის მუშაობის საკითხებზე: „რკინიგზების ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესახებ“, „შრომის მოწინავე მეთოდები ტრანსპორტზე“, „მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების შესახებ“ და სხვ.

დიდი რუსი პოეტის ხსოვნის ქედმოხდილი

8 იანვარს ლენინგრადის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა დიდი რუსი დემოკრატი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის გარდაცვალების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

დიდი სახალხო პოეტის ხსოვნის პატივსაცემად მოვიდნენ თბილისის ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, საწარმოთა სტახანოველები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

სცენის სიღრმეშია ნ. ა. ნეკრასოვის პორტრეტი, რომელსაც შემოვლებული აქვს დაფნის ფოთლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ამხ. ს. ჭილაიამ.

მოხსენება ნ. ა. ნეკრასოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა ამხ. ვ. ეგნატაშვილმა.

ქართველი ხალხი, ამბობს მომხსენებელი, თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად დიდ პატივს სცემს დიდი რუსი დემოკრატი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის ხსოვნას, რომლის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ემსახურებოდა მშრომელი ხალხის განთავისუფლებას ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის უღლისაგან, ბრძოლას ჩვენი სამშობლოს ნათელ მომავლისათვის.

მომხსენებელი ლაპარაკობს ნ. ა. ნეკრასოვის ნაწარმოებთა უდიდეს პოპულარობაზე, იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა მისმა შემოქმედებამ ქართულ ლიტერატურაზე.

საღამოზე ნ. ა. ნეკრასოვის ნაწარმოებთა თვიანთი თარგმანები წაიკითხეს პოეტებმა: ს. ეულმა, გ. ცეცხლაძემ, მ. მაჭავარიანმა, ა. მირცხულავამ და სხვებმა. პოეტმა ხ. ბერულავამ წაიკითხა დიდი დემოკრატი პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი თბილისის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქდესი).

ნ. ა. ნეკრასოვის ერთტომეული ქართულ ენაზე

დიდი რუსი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის გარდაცვალების 75 წლისთავის აღსანიშნავად სახელგამი წელს გამოსცემს მისი რჩეული ნაწარმოებების ერთტომეულს ქართულ ენაზე. კრებულში დაიბეჭდება პოეტების ა. აბაშელის, გ. აბაშიძის, ი. აბაშიძის, ა. მირცხულავას, ს. ჩიქოვანის, გ. ცეცხლაძის, ი. ნონეშვილის, ხ. ბერულავას და სხვების თარგმანები.

გამოფენა ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში

6 იანვარს ა. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი რუსი პოეტის ნ. ნეკრასოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მასალები ნეკრასოვის გამოჩენილი თანამედროვეების შესახებ, ასახულია ნეკრასოვის ცხოვრება და მოღვაწეობა, არის განყოფილება — ნეკრასოვი და საბჭოთა პოეზია.

წერილები რედაქციას

ლავაჩქაროთ ვაგონების ბრუნვა საველე სადგურებში

რკინიგზის საველე სადგურების გამართულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. მაგრამ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების დისპეტჩერ-სელექტორისტები ამ მნიშვნელოვან საქმეს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ.

კუხეთის სადგურის კოლექტივმა გასული წლის ნოემბერში დატვირთვის გეგმას 31 პროცენტით გადააჭარბა, ხოლო გადმოტვირთვისას — 50 პროცენტით, მაგრამ ჩამორჩა ვაგონების ბრუნვის დავალების შესრულებაში. იმ მიზეზით, რომ დისპეტჩერებს დატვირთული ვაგონები სადგურიდან დროზე არ გაჰყავდათ, ადგილობრივი ვაგონების მოცდენა ნორმასთან შედარებით 33 საათით გაიზარდა.

მთავარი არხის სადგურს საკმაო ლიანდაგი არა აქვს. გზის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელების წინაშე ამის შესახებ არა ერთხელ დაისვა საკითხი, მაგრამ მდგომარეობა დღემდე უცვლელია. სადგურის მუშაკები ლიანდაგების სიმცირის გამო ვერ ახერხებენ დაიცვან სამანევრო ოპერაციების ტექნოლოგია, ძალზე ჭიანურდება მატარებლის ფორმირება. ამის გამო გასული წლის ნოემბერში ნორმასთან შედარებით 29,7 საათით გაიზარდა ვაგონების მოცდენა, უქმად დაიკარგა 112,355 ვაგონ-საათი და არ შესრულებულა დატვირთვა-გადმოტვირთვის სახელმწიფო დავალება.

გზის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობამ მეტი საქმიანი დახმარება უნდა გაუწიოს საველე სადგურების კოლექტივებს. საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებანი ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისა და ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში.

ა. კუჭუხიძე,
ვ. ძნელაძე.

ფართო დექციური პროპაგანდისათვის მოსახლეობაში

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას, მის განყოფილებებს დაკისრებული აქვთ პასუხსაგები ამოცანა — ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში ლექციური პროპაგანდა, ხელი შეუწყონ მასების კომუნისტურად აღზრდას. ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამხრეთ ოსეთის განყოფილებას ყველა შესაძლებლობა აქვს, იგი თავის რიგებში საზოგადოების 195 ნამდვილ და მოხალისე წევრს აერთიანებს.

განყოფილებამ 1952 წლის განმავლობაში საკუთარი ძალებით ოლქის კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში მოაწყო 1.670 ლექცია, რომლებსაც 81.000 კაცი დაესწრო. მრავალი ლექცია უფასოდ გაიმართა. ამჟამად საზოგადოების პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ფართო პროპაგანდა. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად გაშლილია პრაქტიკული მუშაობა.

მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევა საზოგადოების ლენინგორის რაიონის გამგეობა. აქ საზოგადოების მუშაობაში აბამენ ახალ ძალებს, კარგად არის ორგანიზებული ლექციური პროპაგანდა. ასე არ ითქმის სტალინირის, ჯავის, ზნაურის რაიონულ გამგეობებზე. მაგალითად, ჯავის რაიონში სალექციო მუშაობაში საზოგადოების წევრთა მხოლოდ 22 პროცენტი იღებს მონაწილეობას, ხოლო ზნაურის რაიონში — 16 პროცენტი. ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა, პარტიის რაიონული კომიტეტები დაინტერესებული რომ იყვნენ საზოგადოების მუშაობით. უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში პარტიის რაიკომებს თავიანთი ბიუროების სხდომებზე არც კი განუხილავთ საზოგადოების რაიონულ გამგეობათა მუშაობის საკითხი.

იდეოლოგიური მუშაობის ამ მნიშვნელოვანი უბნისადმი ასეთ უყურადღებობას მხოლოდ ზიანი მოაქვს საქმისათვის.

საზოგადოების საოლქო განყოფილებასთან შექმნილია სამი სექცია. ზოგი მათგანი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ეს ითქმის საბუნებისმეტყველო მეცნიერების სექციაზე (ბიუროს თავმჯდომარე ვ. ხეთაგური), რომელიც უკანასკნელ ხანებში თემატურ გეგმებსაც არ აგენს. სექციის ზოგიერთი წევრი ზერელედ კითხულობს ლექციებს.

1953 წლის თემატური გეგმის შედგენა დაავიანა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციამაც (ბიუროს თავმჯდომარე ზ. ჯიოევი).

განყოფილების სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, ისიც, რომ იგი ურიგდება ბევრი თავისი წევრის პასიურობას.

1953 წელი ახალ ამოცანებს აყენებს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დაწესებულებათა წინაშე. პარტიული ორგანიზაციების დახმარების გაძლიერებით საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო განყოფილება მკვეთრად აამაღლებს მუშაობის დონეს, იბრძოლებს დაკისრებული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

ვ. სანაკოევი,
საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული სამხრეთ ოსეთში.

მოუწყობელი კინოთეატრი

ქ. ჭიათურის კინოთეატრი „მაღაროელი“ ცუდად ემსახურება მაყურებლებს. ეზოს საწინააღმდეგო მოწყობილობის უქონლობის გამო ფილმის დემონსტრაციისას დარბაზში ერთი გამმული გუგუნი ისმის, სიტყვები გაურკვეველია.

ამ „სიამოვნებას“ ემატება ის ანტისანიტარია, რაც კინოთეატრის დარბაზშია გამეფებული: ვენტილაცია არ არის, ჭერი და კედლები მტვრის სქელი ფენითაა დაფარული, ბათქაში ბევრგან ჩამონგრეულია. არც განათებაა სათანადოდ მოგვარებული.

კინოთეატრში ბილეთების ფასები რიგების მიხედვით არ არის დაწესებული. სკამები დაუნომრავია. ფოიე მოუწყობელია. ამიტომ სეანსებს შორის მაყურებლებს ფეხზე დგომა უხდებათ.

ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიექცეს და ჭიათურის კინოთეატრი „მაღაროელი“ (დირექტორი მ. ტყაბლაძე) გახდეს მშრომელთა კულტურული გართობისა და დასვენების კერა. საამისო პირობები კი ამ თეატრს გააჩნია.

ინჟინრები ს. ქამუშაძე,
ი. ერგემლიძე,
ვ. ციცვიძე.

საჭირო და აუცილებელი საქმე

საქართველოს მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქი — რუსთავი იზრდება და მშვენდება ლამაზი შენობებით. ქალაქის ზრდასთან ერთად იზრდება მგზავრთა ნაკადიც, მიუხედავად ამისა, დღემდე სადგურ რუსთავს არა აქვს კეთილმოწყობილი ვაგზალი მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის.

მეტალურგთა ქალაქის პატარა სადგური მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მგზავრთა გაზრდილ მოთხოვნებს.

რუსთავს უნდა ჰქონდეს ვაგზალი ისეთი შენობა, როგორიც მეტალურგთა ქალაქს შეეფერის!

მ. მჭედლიშვილი.

უფრო კეთილმოწყობილი გავხადოთ რაიონული ცენტრი და საკოლმეურნეო სოფლები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი და ამ ყრილობის დასკვნითს სხდომაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვა საბჭოთა ხალხმა მიიღო როგორც გრძოლისა და გამარჯვების დიადი პროგრამა, კომუნიზმის მშენებლობისა და ხალხთა შორის მშვიდობისათვის გრძოლის პროგრამა. ამ ისტორიული ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „გაუმჯობესდეს ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება. გაფართოვდეს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი, სახლების თბოფიკაცია და გაზიფიკაცია, ქალაქის ტრანსპორტი, გაუმჯობესდეს ქალაქების კეთილმოწყობა. ხუთწლედის დამლევისათვის კომუნალურ მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გადიდდეს დაახლოებით 50 პროცენტით 1950 წელთან შედარებით“.

კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ დაგვისახა, წარმატებით იქნება შესრულებული. ამის საწინდარია ის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებს სათავეში უდგას ბრძოლებში ნაცადი და გამოწრთობილი ლენინ — სტალინის დიადი პარტია, რომლისთვისაც არ არსებობს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებთან ერთად სახე იცვალა ხაშურის რაიონმაც. საქართველოს ერთ-ერთ ძველ ქალაქ ხაშურში, რომელსაც წინათ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი რამ გაკეთდა მისი კეთილმოწყობისათვის; გალამაზდა რაიონის დაბებიც და საკოლმეურნეო სოფლებიც.

მაგრამ ის, რაც ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის დარგში ხაშურის რაიონშია გაკეთებული, სრულიად ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმე დღემდე არ სარგებლობდა პარტიის ხაშურის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათანადო ყურადღებით. ამიტომ ქალაქ ხაშურის კომუნალური მეურნეობა ჯეროვან სიმაღლეზე ვერა დგას, ქალაქის კეთილმოწყობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კერძო ბინების მშენებლობას, ქალაქში არც ერთი შენობა არ აგებულა. არ წარმოებს ახალი ქუჩების გაყვანა, არსებული ქუჩების კეთილმოწყობა, ქალაქში სრულებით არ არის კანალიზაცია, არასაკმარისია წყალის მარაგი, მეტისმეტად ღარიბია ქალაქი თავისი საბინაო ფონდით.

მოსახლეობის კულტურული მომსახურება არადამაკმაყოფილებელია. ქალაქს არა აქვს თეატრი. ხაშურში არსებობს ერთადერთი კინოთეატრი, რომელიც ძლიერ პატარაა და ამასთან შეკეთებას საჭიროებს. კინოთეატრის ახალი შენობის აგების საკითხი ჩვენ მრავალჯერ დავაყენეთ, მაგრამ დღემდე შედეგი არა ჩანს. შემოუღობავი და მოუწესრიგებელია ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი. საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების ხაზით ქალაქ ხაშურში არაფერი არ კეთდება. საჭიროა კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით გათვალისწინებულ იქნას ხაშურში სათანადო ორგანიზაციებისათვის საჭირო შენობების აგება.

ამას წინათ პარტიის რაიკომის პლენუმმა განიხილა ქალაქ ხაშურის კომუნალური მეურნეობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ამ დარგში გადაუდებელი ამოცანები დაუსახა.

ქალაქი ხაშური დიდ საკვანძო სარკინიგზო სადგურს წარმოადგენს. ახლა აქ მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. ხაშურის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა რაიონული ცენტრისა და საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობას ახლა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი. საჭიროა ზემდგომი ორგანოების სათანადო დახმარება, რომ ხაშური რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებს შორის ერთ-ერთი კულტურული და კეთილმოწყობილი ქალაქი გახდეს.

ა. ნოზაძე,
საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის მდივანი.

გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა მოიწვია აჭარის მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. დ. მამულაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის ბევრ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში ავადმყოფთა მკურნალობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებებია ამ მხრივ რესპუბლიკურ საავადმყოფოში. აქ ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს ავადმყოფთა მკურნალობის გაუმჯობესებისათვის, ხშირად არ არის დაცული სანიტარული წესები, მოუვლელია ინვენტარი, არის ავადმყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ბავშვთა საავადმყოფოში. აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო (მინისტრი ამხ. რ. ინაიშვილი) გადამჭრელ ზომებს არ იღებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება აჭარის სოფლებში, სადაც საგრძნობია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა. სათანადო ყურადღება არ ექცევა მედიცინის მუშაკთა შერჩევისა და განაწილების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მინისტრის ამხ. რ. ინაიშვილის მუშაობა.

ტუბერკულოზის დისპანსერის მთავარმა ექიმმა ა. ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო კვლავ ძველებურად, არაოპერატიულად მუშაობს. იგი სათანადოდ ვერ სწყვეტს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს, ნაკლებ მზრუნველობას იჩენს სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებისათვის. მინისტრი ამხ. ინაიშვილი დანაშაულებრივად უდგება კადრების შერჩევა-განაწილებას. ამ საქმეში იგი ხშირად მეგობრული ურთიერთობით ხელმძღვანელობს. სამინისტროში გამეფებულია მუშაობის კაბინეტურ-ბიუროკრატიული სტილი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ცინცაბაძემ. იგი დაწვრილებით შეჩერდა ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მძლავრ აღმავლობაზე, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში პარტიის XIX ყრილობის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებზე, აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებები აჭარაში სამედიცინო მომსახურების დაყენების საქმეში და მიუთითა მისი გადაჭრით გაუმჯობესების კონკრეტულ გზებზე.

თათბირმა მიიღო მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მოწინავე მექანიზატორი

ხაშური. (საკ. კორ.). შარშან მექანიზატორთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებებს მიაღწია გომის მტლის მექვიდე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც შ. მოსიაშვილი ხელმძღვანელობს. მან სეზონში კომბაინ „სტალინეც-6“-ით მოსავალი აიღო 585 ჰექტარზე. გეგმა კი 280 ჰექტარს ითვალისწინებდა.

მოწინავე მექანიზატორის საქმიანობა მარტო ამ წარმატებით როდი ამოიწურება. მისმა ბრიგადამ 1952 წელს რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 3.088 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 1.816 ჰექტარისა.

მოსიაშვილის ბრიგადაში გაცხოველებით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტი. დეკემბერში 3 ტრაქტორის ნაცვლად კაპიტალური და მიმდინარე რემონტიდან გამოუშვეს 4 ტრაქტორი. გარემონტებულია აგრეთვე 2 გუთანი, 3 სათესი, 2 საოში.

ბრიგადას აღებული აქვს ვალდებულება 1953 წლის 15 იანვრამდე მთლიანად დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების ზამთრის რემონტი. პირადად შ. მოსიაშვილმა იკისრა ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავროს კომბაინის რემონტი.

თბილისი. მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატში საკუთარი ხაშუალებებით შექმნეს და დაამონტაჟეს ახალი გამკრიალებელი აგრეგატი, რომელიც 50 გამკრიალებელი მუშის შრომას ცვლის. აგრეგატის კონსტრუქცია შეიმუშავა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ამხ. გ. ხვედელიანმა.

სურათზე: გამკრიალებელი მუშა თამარ ლებანიძე აგრეგატზე მუშაობის დროს.

ფოტო გ. კვირკველიასი და ვ. გინზბურგისა.

ჩქაროსანი ხარაჯების მიმოწერა

ჭიათურა. (საკ. კორ.). კარგა ხანია შემოქმედებითი თანამეგობრობა არსებობს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ჩქაროსან ხარატ ი. ჭუმბურიძესა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს ლითონის ჩქარაოსანი ჭრის ოსტატ ი. კაპანაძეს შორის. ისინი ამხანაგურ წერილებს წერენ ერთმანეთს, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

შარშან ი. კაპანაძე და ახალგაზრდა ჩქაროსანი ხარატი კ. მეგრელიშვილი შემოქმედებითს მივლინებაში იყვნენ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, სადაც დაწვრილებით გაეცნენ მუშაობის მოწინავე მეთოდებს.

ამას წინათ ი. კაპანაძემ მეგობრული წერილი გაუგზავნა ი. ჭუმბურიძეს. სწერდა, თუ როგორ გაუმჯობესდა ლითონის ჩქაროსნული ჭრა ელექტრომექანიკურ სახელოსნოში, რომ ახალგაზრდა ჩქაროსანი ხარატი კ. მეგრელიშვილი, მოწინავე ხარატები — შ. გოგოლიძე, დ. ჩუბინიძე, ჰ. ბარაბაძე, ა. ჭანკვეტაძე და სხვები წარმატებით ეუფლებიან ლითონის ჩქაროსნულ ჭრას.

ამ დღეებში ი. კაპანაძემ საპასუხო წერილი მიიღო ი. ჭუმბურიძისაგან. იგი იწერება:

— მიიღე თქვენი წერილი, რომელმაც აღმაფრთოვანა. ჩვენს ქარხანაში თქვენს შემოქმედებითს მივლინებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მე საფუძვლიანად ავითვისე დეტალების მინერალ-კერამიკული საჭრისებით დამუშავება. იანვრის ბოლო რიცხვებში მივემგზავრები მოსკოვში, სადაც გავეცნობი მოწინავე საწარმოების წარჩინებული ხარატების მუშაობის მდიდარ გამოცდილებას. მოსკოვში ჩემი შემოქმედებითი მივლინების შთაბეჭდილებების შესახებ დაწვრილებით მოგწერთ.

ამხ. ჭუმბურიძე იწერება აგრეთვე ქარხნის კოლექტივის თავდადებულ შრომაზე, ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში გასანაღდებლად გაჩაღებულ მუშაობაზე.

რაჯომ მუშაობს ცუდად შორაპნის რკინიგზის კვანძი

შორაპნის რკინიგზის კვანძის მუშაობაში მიღწევებთან ერთად არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ვერ ასრულებს ორთქლმავლების სადღეღამისო გარბენის სახელმწიფო დავალებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ შორაპნის რკინიგზის სადგური სისტემატურად აღღვევს მუშა-მატარებლების შედგენისა და გაგზავნის გრაფიკს. მაგალითად, 11 დეკემბერს ორთქლმავალი № 46 ერთნახევარი საათის ნაცვლად 7 საათს და 45 წუთს იდგა მატარებლის შედგენის მოლოდინში. ამავე დღეს № 48 ორთქლმავალი 6 საათს ალოდინეს, ხოლო № 91017 ორთქლმავალი — ხუთნახევარ საათს. მსგავსი შემთხვევები აქ ხშირია.

მუშა-მატარებლების შედგენა-გაგზავნის შეფერხება იმით არის გამოწვეული, რომ გზის სამტრედიის განყოფილება შორაპნის სადგურს დროზე და საჭირო რაოდენობით არ აწვდის ფართოლანდაგიანი გზის ვაგონებს. მატარებლების შედგენა-გაგზავნის გრაფიკის დარღვევა თავის მხრივ ორთქლმავლების მოცდენას იწვევს.

დეპოს მემანქანეებს ნაყოფიერ მუშაობაში ხელს უშლის დასვენების ნორმალური პირობების უქონლობა. კარგა ხანია გააუქმეს ჭიათურაში მემანქანეთა დასასვენებელი ოთახი, სადაც შორაპნიდან ნამგზავრი მემანქანე მატარებლის უკან წამოყვანამდე ისვენებდა.

შორაპნის საორთქლმავლო დეპოს სილის საზამთრო მარაგი არა აქვს — 300 კუბმეტრის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 60-მდე კუბმეტრი სილა, ისიც გაუცრელი.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებისა და გზის სამმართველოს ხელმძღვანელობამ უნდა მიიღონ ზომები შორაპნის რკინიგზის კვანძის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ს. მუმლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეჯი საშენი მასალა მშენებლებს

კასპი. (საკ. კორ.). ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა კასპის შიფერის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც გასული წლის გეგმა 22 ნოემბრისათვის გაანაღდა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა მილიონობით ცალი შიფერი.

სასახელო მაჩვენებლებით დაასრულა სამეურნეო წელი იმ ცვლამ, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ლილი მარჯანიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ცვლამ წლიური გეგმა ვადაზე 35 დღით ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით მრავალი ათასი ცალი მაღალხარისხოვანი შიფერი მიაწოდა ჩვენი რესპუბლიკის ახალმშენებლობებს.

ქარხანას ბევრი ჰყავს მოწინავე ადამიანები, ახალი ხუთწლედის სტახანოველები. მემანქანე გ. ფოლადაშვილმა წლიური საწარმოო დავალება ვადაზე 40 დღით ადრე შეასრულა, ხოლო ა. კაციაშვილმა ერთი თვით ადრე.

მეშიფერეებმა ახალი წლის პირველი დღიდანვე გააჩაღეს მუშაობა 1953 წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის. ქარხნის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ გეგმებს.

სამარცხვინო ჩამორჩენა და უღარღელი ხელმძღვანელები

წითელწყაროს რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის უუნარო ხელმძღვანელობამ შარშან ათეულ ათასობით მანეთის საშენი მასალა და სხვა პროდუქცია დაკლო რაიონის მშრომელ მოსახლეობას.

აგურ-კრამიტის ქარხანამ (გამგე გ. პოპიაშვილი) 1952 წელი სამარცხვინო ჩამორჩენით დაამთავრა. გეგმის შეუსრულებლობის გამო გადიდდა აგურის თვითღირებულება. ჩამორჩა კირის ქარხანაც (გამგე ვ. ნატროშვილი), სადაც 60 ტონის ნაცვლად 20 ტონა პროდუქცია გამოუშვეს და თან მისი თვითღირებულება საგრძნობლად გაადიდეს.

კომბინატს ჰქონდა ვაჯის საამქრო, რომელმაც 1952 წლის პირველ ნახევარში 600 ტონის ნაცვლად მხოლოდ 80 ტონა ვაჯი დაამზადა. საამქრო ვერ უზრუნველყვეს მუდმივი კადრებით და ამიტომ ვაჯის წარმოება შეწყდა. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა საშენი ქვის დამამზადებელი საამქროც, რომელსაც გამგე ვერ შეურჩიეს. სწორედ ამ მიზეზით წითელწყაროელებმა შარშან 2.800 კუბური მეტრი საშენი ქვა დაკარგეს. შეუსრულებელია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთების გეგმებიც.

სამრეწველო კომბინატის ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა ცნობილია წითელწყაროს რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთათვის, რომლებმაც 1952 წლის ივლისში კომბინატის დირექტორი სვიმონიშვილი მართებულად მოხსნეს თანამდებობიდან, მაგრამ მის ადგილზე გაგზავნეს ამ საქმის სრულიად უცოდინარი ს. მანგოშვილი. ეს ის მანგოშვილია, რომელსაც სოფელ მირზაანის კოლმეურნეებმა უარი უთხრეს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევაზე როგორც უუნარო ხელმძღვანელს. ს. მანგოშვილის უღარღელობის შედეგად წითელწყაროს რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში კვლავ გრძელდება დანაშაულებრივი ჩამორჩენა.

საინტერესოა, რატომ ურიგდებიან ამ მდგომარეობას რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები?

გ. ყაჯრიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ელექტრომრეწველობის განვითარება ბულგარეთში

სოფია, 8 იანვარი. (საკდესი). სულ ახალი და ახალი სახის პროდუქციის გამოშვებას ეუფლება ბულგარეთის ახალგაზრდა ელექტრომრეწველობა. ამ დღეებში სოფიის ვასილ კოლაროვის სახელობის ქარხანამ გამოუშვა პირველი ადგილობრივი გენერატორი. გენერატორის ნაზაზები და [illegible] ბულგარელმა ინჟინრებმა. გენერატორი დაიდგმება [illegible] ელექტროსადგურში.

ქალაქ რუსეს ამას წინათ აშენებული ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივმა აითვისა სხვადასხვა საიზოლაციო მასალის წარმოება.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 9 იანვარი. (საკდესი). უნგრეთში წლითიწლობით უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გასულ წელს ქალაქებსა და სოფლებში გაიხსნა ახალი ამბულატორიები, საავადმყოფოები, სამედიცინო პუნქტები, აგრეთვე ახალი კაბინეტები და ლაბორატორიები არსებულ სამკურნალო დაწესებულებებთან. 34 საფაბრიკო-საქარხნო ამბულატორიამ მიიღო უახლესი სამედიცინო მოწყობილობა.

წელს ხორციელდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესება. ამ მიზნებისათვის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გაღებულია 5.907 მილიონი ფორინტი, ე. ი. 901 მილიონი ფორინტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება ხელისუფლების საქალაქო და რაიონული ორგანოების შესახებ

ბერლინი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც ირკვევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობიდან, რაც ადნ-ის საგენტომ გადასცა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დღეს დამტკიცა „დებულება დეპუტატთა საქალაქო კრებების სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ“ და „დებულება საქალაქო რაიონებში დეპუტატთა საქალაქო რაიონული კრებების სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ“.

დეპუტატთა საქალაქო კრების აღმასრულებელი ორგანო იქნება საქალაქო საბჭო, ხოლო დეპუტატთა რაიონული კრების აღმასრულებელი ორგანო — რაიონული საბჭო.

იტალიაში პროტესტს აცხადებენ საარჩევნო „რეფორმის“ პროექტის წინააღმდეგ

რომი, 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში იტალიის ბევრ ქალაქში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაციები საარჩევნო „რეფორმის“ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ წამოაყენა. საპროტესტო გაფიცვები მოეწყო მილანის საფეიქრო ფაბრიკებში და ლიფონდამშუშავებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებში, რეჯო-ნელ-ემილიის მანქანათმშენებელ ქარხნებსა და კვების მრეწველობის საწარმოებში, ფერარის, ჩერინიოლას (ფოჯის პროვინცია) ზოგიერთ საწარმოში.

კასტელვეტრანოს (ტრაპანის პროვინცია), ჯირიფალკოს (კატანძაროს პროვინცია), ბელფორტეს (ბეზაროს პროვინცია) და პრეზიჩეს (ლეჩეს პროვინცია) მუნიციპალურმა საბჭოებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც გმობენ მთავრობის პროექტს.

ფრანგ ქალებს აბრკვევენ ინდო-ჩინეთის ომში მონაწილეობისათვის

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს ცნობიდან ირკვევა, რომ საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო ქალების შეგროვება ეგრეთწოდებული „შორეული აღმოსავლეთის საექსპედიციო კორპუსისათვის“, ე. ი. ინდოჩინეთისა, რომელიც იბრძვის ვიეტნამის, პატეტ-ლაოს და ყმერის ხალხების წინააღმდეგ.

სამინისტროს მიერ გამოშვებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ, თავისუფალია ბევრი თანამდებობა, რომლებიც ქალებს ეკავათ საბჭოთა ჯარებში, კერძოდ სანიტარულ სამსახურსა (სანიტრები) და შტაბებში (მდივნები და მემანქანეები). არმიისათვის შეგროვებულ ფრანგ ქალებს „მეტად დიდ ჯამაგირს“ პირდებიან.

გერმანელი რევანშისტები ხელმძღვანელ როლს იჩემებენ „ევროპის არმიაში“

ადენაუერის გამოსვლა რადიოთი

ბერლინი, 8 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის საინფორმაციო საგენტო დპა იუწყება, რომ გუშინ კანცლერმა ადენაუერმა ახალი სიტყვა წარმოთქვა მიუნხენის რადიოთი.

ადენაუერის ეს სიტყვა უნდა შეფასებულ იქნას იმ თვალსაზრისით, რომ გერმანიაში ფართო მასები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ბონისა და პარიზის მილიტარისტულ შეთანხმებათა რატიფიკაციას. როგორც დასავლეთ გერმანიის პრესის ცნობებიდან ჩანს, ადენაუერი, მიუხედავად იმისა, რომ მან აირჩია ბონის ისეთიც შეკეთილი კონსტიტუციის აშკარად ფეხქვეშ გათელვის გზა, ვერ მოახერხებს განახორციელოს ბონისა და პარიზის შეთანხმებათა მესამე, საბოლოო წაკითხვა ბუნდესტაგში იმ მიზნით, რომ გაზაფხულამდე მოახლინოს მათი რატიფიკაცია.

ადენაუერი რადიოთი წარმოთქმულ ახალ სიტყვაში მოითხოვს ბონის შეთანხმების რაც შეიძლება მალე რატიფიკაციას და ემუქრება იმათ, ვინც იბრძვის ბონის მთავრობის სეპარატული მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამავე დროს, როგორც დპა აცხადებს, ადენაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საჭიროა ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ (ე. ი. „ევროპის არმიის“ შესახებ. — **რედ.**) შეკვეთულ, დაზუსტებულ ან განმარტებულ იქნას დამატებითი ოქმებით“. ადენაუერის სიტყვა არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელ როლს იჩემებს „ევროპის არმიაში“. ადენაუერმა ილაპარაკა დასავლეთ გერმანიის „უცილობელ უფლებებზე“ — მონაწილეობა მიიღოს „დიდ პოლიტიკაში“ და იმაზე, რომ საჭიროა მისი მონაწილეობა ევროპის „პოლიტიკურ და სამხედრო დაგეგმვაში“. ადენაუერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ, შევა რა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“, დასავლეთი გერმანია ამით გახდება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შემადგენელი ნაწილი.

კონკურენციის გამწვავება ავტომანქანების გასაღების მსოფლიო ბაზარზე

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). ინგლისური პრესა შეშფოთებით აღნიშნავს კონკურენციის გაძლიერებას ავტომანქანების გასაღების მსოფლიო ბაზარზე. გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ წერს: „გერმანელი ავტომრეწველები ამარცხებენ ინგლისის მეწველობას ევროპაში გასაღების მთავარი ბაზრებისათვის ბრძოლაში“.

აღნიშნავს რა, რომ ინგლისს ამ ცოტა ხნის წინათ მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდა ბელგიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიასა და შვეიცარიაში ავტომანქანების გასაღების მხრივ, გაზეთი ამბობს, რომ მდგომარეობა გასულ წელს ძირეულად შეიცვალა. მაგალითად, 1952 წლის 9 თვეში ინგლისმა ბელგიაში გაყიდა ავტომანქანები და მასი 24,6 პროცენტით ნაკლები, ვიდრე დასავლეთმა გერმანიამ, შვეიცარიაში — 20,7 პროცენტით ნაკლები, შვეიცარიაში — 3,6-ჯერ და ჰოლანდიაში — ერთნახევარჯერ ნაკლები. ამასთან გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის მდგომარეობა ევროპის ბაზრებზე უარესდება აგრეთვე საფრანგეთის, იტალიისა და შეერთებული შტატების კონკურენციის გაძლიერების შედეგად.

მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის გამწვავების შედეგად ინგლისური ავტომანქანების ექსპორტი მკვეთრად შემცირდა. როგორც ინგლისის საქმიანი წრეების ორგანო ჟურნალი „ეკონომისტი“ იუწყება, ავტომანქანების ექსპორტი დღრეულების მხრივ 1952 წლის ნოემბერში 35 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 1951 წლის ნოემბერში. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ავტომანქანების ექსპორტი კანადასა და ავსტრალიაში, სადაც ინგლისი აწყდება ამერიკის სულ უფრო მზარდ კონკურენციას.

გიეხებისა და ჟანდარმერიის შეიარაღებული შეტაკება თურქეთში

სტამბოლი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „მილეთი“ იუწყება, ანკარის ვილაიეთის სოფელ კესიკეპრიოში მოხდა ამ სოფლის გლეხებისა და ჟანდარმების შეიარაღებული შეტაკება.

შეტაკების საბაბი გახდა სოფელში ჟანდარმების ჩასვლა, რათა გლეხებისათვის ქონება ჩამოერთმიათ ვალების დასაფარავად.

სამხრეთ კორეის მოსახლეობა განწირულია შიმშილით დაიხოცოს

ფხენიანი, 8 იანვარი. (საკდესი). კორეის პრესა, აქვეყნებს რა მასალებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა სამხრეთ კორეაში, რომელიც ამერიკელ ინტერვენტთა და ლი სინ მანის მოდალატური ხროვის უღელქვეშ იმყოფება, წერს, რომ ახალ, 1953 წელს სამხრეთ კორეა კიდევ უფრო მძიმე პირობებში ხვდება, ვიდრე 1952 წელს.

გაზეთი, „ნოდონ სინმუნი“ წერს, რომ რამდენიმე წლის წინათ, ამერიკელ ოკუპაციამდე, სამხრეთი კორეა კორეის ბეღელი იყო; ახლა იგი შიმშილის მხარედ გადაიქცა. მუშახელისა და თესლის ნაკლებობის გამო გასულ წელს სამხრეთში დამუშავდა სათესი ფართობის მხოლოდ 55-61 პროცენტი. ლი სინ მანის „მთავრობის“ მიერ დაწესებული მრავალი სახის გადასახადი და გამოსაღები გლეხის მოსავლის 82 პროცენტს აღწევს. პოლიციისა და მთავრობის მოხელეები აიძულებენ გლეხებს დანარჩენი მარცვლეული შემცირებულ ფასებში მიჰყიდონ ხელისუფალთ.

სამხრეთ კორეის პრესაც კი იძულებულია აღიაროს ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიც სამხრეთ კორეის გლეხები იმყოფებიან. გაზეთ „ჩუნან სინმუნის“ აღიარებით, ჩრდილოეთ ქენსანის პროვინციის გლეხები ბალახით იკვებებიან. ამავე დროს ლი სინ მანის ანტისახალხო მარიონეტულ ხროვას იაპონიაში გაეაქვს ათასობით ტონა ბრინჯი. „ამასთან დაკავშირებით სამხრეთ კორეის ბიულეტენი „ლამბუკ ინხენი“ აღნიშნავს, რომ ომამდე კორეიდან იაპონიაში გაჰქონდათ რამდენჯერმე ნაკლები ბრინჯი, ვიდრე გაქვთ ამერიკის ინტერვენციის დაწყების შემდეგ.

ახასიათებს რა სამხრეთ კორეაში არსებულ მდგომარეობას, სამხრეთ კორეის ჟურნალი „ჩაიუ სეგე“ წერს, რომ სამხრეთ კორეაში „ქალაქებსა და სოფლებში, შეგადურთა დაბებსა და მთის მიყრუებულ სოფლებში ყველა მცხოვრები ამბობს, რომ ცხოვრება შეუძლებელი გახდა“.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 8 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები კიმხვის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს აწარმოებდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლი-სინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დაზიანეს 2 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობიანი დასახლებული რაიონების მხეცურ დაბომბვასა და ტყვიამფრქვევის დაშენაში.

ამერიკელები კვლავ არღვევენ შეთანხმებას პანმიუჯონის ნეიტრალური ზონის შესახებ

პეკინი, 8 იანვარი. (საკდესი). სინხუას საააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

4 იანვარს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა ორჯერ, 10 საათსა და 15 წუთზე და 10 საათსა და 18 წუთზე, გადაუფრინეს კონფერენციის რაიონს პანმიუჯონში და ამით კვლავ დაარღვიეს შეთანხმება კონფერენციის რაიონის ნეიტრალობის შესახებ, რაც მიღწეული იყო კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების მსვლელობაში.

გუშინ კორეა-ჩინეთის მხარის უფროსმა მეკავშირე ოფიცერმა თავის წერილში ამერიკის მხარისადმი პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ 4 იანვარს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა დაარღვიეს კონფერენციის რაიონის საზღვრები. მან უარყო დაუსაბუთებელი მოსაზრებანი ამერიკელებისა, რომლებიც ცდილობენ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა შეთანხმების დარღვევისათვის, და მოსთხოვა ამერიკის მხარეს მიიღოს გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა არ დაუშვას შეთანხმების ახალი დარღვევები.

უფასო მკურნალობის სისტემის შემოღება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 8 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ახალი წლიდან მთელ რესპუბლიკაში შემოღებულია რესპუბლიკის საავადმყოფოებში, ამბულატორიებში, კლინიკებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში მოქალაქეთა უფასო მკურნალობის სისტემა. დადგენილებაში გათვალისწინებულია განსაკუთრებული პრივილეგიები იმ პირთათვის, რომლებიც დაზარალდნენ ამერიკელთა მიერ ბარბაროსული დაბომბვით ან იტანჯებიან ეპიდემიური დაავადებით. საავადმყოფოებში სამკურნალოდ მყოფნი უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით.

იუწყებიან რა მინისტრთა კაბინეტის ამ დადგენილების ძალაში შესვლის შესახებ, გაზეთები აფასებენ მას როგორც კორეის შრომის პარტიისა და სახალხო მთავრობის ახალ ზრუნვას მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ომიანობის დროის სიძნელეთა მიუხედავად.

პარტიზანული ომის გაძლიერება სამხრეთ ვიეტნამში

შანხაი, 9 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის ბიულეტენი, რომელსაც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო უშვებს პეკინში, იუწყება, რომ სამხრეთ ვიეტნამში გაძლიერდა პარტიზანული ომი.

ყია-დინის პროვინციაში სახალხო ჯარებმა და პარტიზანებმა ორი თვის მანძილზე მოწინააღმდეგეს თავს მოახვიეს 105 ბრძოლა.

ტუ-დო-მოტისა და ბიენ-ხოას პროვინციებში პარტიზანული რაზმები და სახალხო არმიის ნაწილები მონაწილეობდნენ 70 შეტევითს ოპერაციაში, რომლებიც მათ განახორციელეს მტრის პოზიციებისა და კომუნიკაციათა ხაზების წინააღმდეგ. მათ ჩაფუშეს ადგილის იარაღით დაზვერვის 24 ოპერაცია, რასაც საფრანგეთის ჯარები ახორციელებდნენ ამ პროვინციებში. ამ ოპერაციების დროს მოკლულ იქნა მტრის ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, მწყობრიდან გამოყვანილ იქნა მოწინააღმდეგის 30 სატვირთო მანქანა და ჯავშნიანი ავტომობილი.

პარტიზანულმა რაზმებმა და რეგულარულმა ნაწილებმა, რომლებიც ბიენ-ხოას, ტაი-ნინის, ყია-დინის პროვინციებში და კამიშეის ველზე (საიგონის რაიონში — **რედ.**) მოქმედებენ, სამი თვის მანძილზე განხორციელებული ოპერაციების დროს მოკლეს 3.123, დაჭრეს 1.578 და ტყვედ ჩაიგდეს 130 მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, მათ ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი, ჩაძირეს 2 სამხედრო და ერთი საჯარო გემი, აგრეთვე 8 კარავანი, მწყობრიდან გამოაყვანეს 24 მსუბუქი ავტომანქანა, 32 სატვირთო მანქანა.

ყველაზე გაბედული და მამაცური იყო ოპერაცია, რომელიც რეგულარული არმიის ერთმა ქვეგანაყოფმა განახორციელა ტრანგ-ბომში. ამ ქვეგანაყოფის მებრძოლნი საფარიდან თავს დაესხნენ მტრის ავტოკოლონას, რომელიც 23 სატვირთო მანქანისაგან შედგებოდა, და ამ მანქანების მძღოლები აიძულეს მიეყვანათ ისინი ფრანგთა ერთი ნაწილის პოზიციებზე. მოუმზადებელს მიუსწრეს რა მტერს, მებრძოლებმა მოსპეს მოწინააღმდეგის ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ იგდეს დიდძალი საბრძოლველი, რომელიც საკმარისია მთელი ბატალიონის შესაიარაღებლად, აგრეთვე 10 ტონა სამარი მასალა.

ფრანგი კოლონიზატორები, აღნიშნავს ვიეტნამის ბიულეტენი, ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ რაიონები, რომლებსაც ამჟამად უწევენ კონტროლს. ისინი ყოველნაირად ცდილობენ დაშინონ ადგილობრივი მცხოვრებლები, რათა ეს უკანასკნელნი არ უწევდნენ დახმარებას პარტიზანულ რაზმებსა და რეგულარულ ნაწილებს. ახორციელებენ რა ადგილის იარაღით დაზვერვის ეგრეთწოდებულ ოპერაციებს, საფრანგეთის ჯარები კლავენ გლეხებს, ელეტენ პირუტყვს, სპობენ ნათესებს, რითაც შიმშილს უმზადებენ ადგილობრივ მოსახლეობას. მაგრამ ამაოა მათი ცდა ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილონ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხი. ვიეტნამში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება პარტიზანული მოძრაობა, იზრდება სახალხო შურისმიებელთა რიცხვი, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ მოწინააღმდეგეს. ერთ-ერთმა ასეთმა რაზმმა დაანგრია ფრანგთა აეროდრომი ტან სონ ნუტი და ააფეთქა იქ შენახული 3.000 ბომბი.

ამერიკა-ინგლისის წინააღმდეგობის ახალი გამოვლინება

სირია-ლიბანის ურთიერთობის გამწვავება

სტამბოლი, 8 იანვარი. (საკდესი). უკანასკნელ დროს შესამჩნევი ხდება ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავება სირიასა და ლიბანს შორის.

რამდენიმე დღის წინათ სირიის მთავრობამ აკრძალა ლიბანში სირიის პურის შეტანა და მიიღო გადაწყვეტილება გაურკვეველი ვადით გადადოს სირია-ლიბანის მოლაპარაკება ეკონომიკურ საკითხებზე, რომელიც 10 თებერვალდე უნდა დაწყებულიყო. 7 იანვარს სირიის ხელისუფლებმა დახურეს სირია-ლიბანის საზღვარი. ამის შედეგად ლიბანის ციტრუსებითა და სხვა საქონლით დატვირთული ასობით ავტომანქანა საზღვართან დააკავეს.

როგორც ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, სირია-ლიბანის ურთიერთობის ახლანდელი გამწვავება, რაც დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებს ორივე მხარეს, არსებითად გამოვლინებაა ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის ბრძოლისა ლევანტის ქვეყნებისათვის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელში ჩაიგდეს ურანის მადანი ავსტრალიაში

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან გადმოგვცემს:

დღეს აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ხელი მოაწერეს გრძელვადიან შეთანხმებას ავსტრალიის ურანის მადნის შეერთებული შტატებისათვის მიყიდვის შესახებ. ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ვაშინგტონში შეთანხმების შესახებ არავითარი დაწვრილებითი ცნობა არ გამოაქვეყნეს...

როგორც ფიქრობენ, აღნიშნავს კორესპონდენტი, შეთანხმება დადებულია 10 წლის ვადით.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია

ბერლინი, 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა მიუნხენიდან მიღებული ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გარმიშის მახლობლად, შტაფელზეესთან, 1947 წლიდან არსებობს ამერიკელ ოკუპანტთა სამხედრო-სასანგრო სკოლა.

ეს სკოლა, ნათქვამია ცნობაში, დაამთავრა დაახლოებით 6.000 გერმანელმა. ამჟამად ეწყობა 10 სასწავლო კურსები ამერიკის შეერთებული შტატების სოკუპაციო არმიაში „მომსახურე" გერმანელებისათვის. კურსანტებს ასწავლიან ბრძოლის ქიმიურ საშუალებათა ხმარებას, ხიდებისა და სხვა ობიექტების დანგრევას.

გაიხსნა იტალიის სოციალისტური პარტიის ეროვნული ყრილობა

რომი, 8 იანვარი (საკდესი). დღეს მილანში გაიხსნა იტალიის სოციალისტური პარტიის 30-ე ეროვნული ყრილობა. ყრილობას ესწრებიან პარტიის ყველა ხელმძღვანელი და მრავალი სენატორი. დამსწრე დეპუტატთა რიცხვი, პირიქით, ფრიად შეზღუდულია იმის გამო, რომ ამჟამად დეპუტატთა პალატაში წარმოებს ბრძოლა საარჩევნო სისტემის „რეფორმის" იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ შეიტანა. ყრილობამ მიიღო მისალმება და მილოცვა იტალიის ყველა დემოკრატიული პარტიისაგან, აგრეთვე იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის, „იტალია-სსრ კავშირის" ასოციაციის, იტალიელ პარტიზანთა ეროვნული ასოციაციისა და იტალიელ ქალთა კავშირისაგან.

გაზეთი „ავანტი" მოწინავე სტატიაში წერს, რომ მთავარი პრობლემა, რომელიც დგას მილანში შეკრებილი დელეგატების — პარტიის 750 ათასი წევრის წარმომადგენლების წინაშე, ის არის, რომ „საუკეთესოდ უზრუნველყონ იტალიელი სოციალისტების მონაწილეობა იმ დიდი პოლიტიკური ბრძოლის დამთავრებაში, რომელიც ამჟამად პარლამენტში და მთელ იტალიაში გაჩაღდა ყველა მოქალაქის თანასწორი საარჩევნო უფლების დასაცავად".

სოციალისტური პარტიის ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით გაზეთი „უნიტა" მოწინავე სტატიაში წერს, რომ „იტალიის სოციალისტური პარტია, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში კომუნისტურ პარტიასთან ერთად დაძაბულ ბრძოლას ეწევა, განმტკიცდა ორგანიზაციულად, დიდძალი ხმა მიიღო და გააფართოვა თავისი გავლენა".

საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის საააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ: მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე რენე მეიერი (რადიკალი), უპორტფელო მინისტრები ანრი კეი (რადიკალი), პოლ კოსტ-ფლორე (კათოლიკური პარტია — სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა), ედუარდ ბონფუსი (წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი), საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბიდო (კათოლიკური პარტია — სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა), იუსტიციის მინისტრი ლეონ მარტინო-დეპლა (რადიკალი), შინაგან საქმეთა მინისტრი შარლ ბრიუნი (რადიკალი), ეროვნული თავდაცვის მინისტრი რენე პლევენი (წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი), ფინანსთა მინისტრი მორის ბურჟეს-მონური (რადიკალი) და სხვ.

საფრანგეთის სასამართლო ხელისუფალნი აბრკოლებენ ლე ლეაპის განთავისუფლებას

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). დემოკრატიული პრესა იუწყება, რომ პარიზის სამხედრო ტრიბუნალის გამომძიებელი მიმართავს ახალ მანევრს, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს სასამართლო ორგანოებს მიიღონ გადაწყვეტილება საპყრობილიდან შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის ლე ლეაპის დროებით განთავისუფლების შესახებ.

ამ მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ გამომძიება ლე ლეაპის ეგრეთწოდებულ „საქმეზე" უკვე დამთავრდა და განსახილველად გადაეცა პარიზის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატას, რომელმაც 8 იანვრის სხდომაზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საპყრობილიდან მისი დროებით განთავისუფლების საკითხზე, სასამართლო გამომძიებელი დიუვალი ცდილობს ლე ლეაპს წაუყენოს დამატებითი ბრალდება „არმიის მორალური მდგომარეობის გახრწნაში", რისთვისაც 6 იანვარს მან ლე ლეაპი გამოიძახა ახალი დაკითხვისათვის რეიის ყაზარმაში. საქმეხება ლე ლეაპის ერთ-ერთ წინანდელ საგაზეთო სტატიას სამხედრო სამსახურის ვადის გადიდების შესახებ. არსებული წესების საწინააღმდეგოდ, გამომძიებელი დიუვალი ლე ლეაპისათვის ამ ბრალდების წაყენებას აპირებდა მისი ადვოკატის დაუსწრებლად.

ლე ლეაპმა უარი თქვა გამოცხადებულიყო ახალ დაკითხვაზე რეიის ყაზარმაში იმ საფუძველზე, რომ გამოძიება მის „საქმეზე" უკვე დამთავრდა და შემდეგს სასამართლო ინსტანციას ჰგულისხმობ. ლე ლეაპის დამცველებს, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ სამხედრო-სასამართლო ხელისუფალთა ახალი მაქინაციების შესახებ და რომლებმაც ამასთან დაკავშირებით მტკიცე პროტესტი განაცხადეს, გამომძიებელმა დიუვალმა 6 იანვარს უთხრა, რომ იგი არ აპირებს ლე ლეაპი დასაკითხავად გამოიწვიოს ორ კვირაზე ადრე.

მაგრამ, როგორც გაზეთები „ლუმანიტე" და „ლიბერასიონი" იუწყებიან, გამომძიებელმა დიუვალმა დაარღვია თავისი დაპირება და გუშინ ბრძანება გასცა ძალით მოიყვანონ ლე ლეაპი დასაკითხავად. უფრო მეტიც, დიუვალმა უარი თქვა მიეღო ლე ლეაპის დამცველი ადვოკატი ბრიუგიე, რომელიც გააფრთხილეს მისი მარწმუნებლისადმი ახალი ძალადობის შესახებ. ბრიუგიემ გუშინ გამომძიებელს გაუგზავნა წერილობითი პროტესტი, რომელშიც, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლე ლეაპისათვის წაყენებული ახალი ბრალდების მიზანია პარიზის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებლო პალატა დააყენოს მომხდარი ფაქტის წინაშე და ამრიგად ხელი შეუშალოს მას საპყრობილიდან ლე ლეაპის დროებით განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ფრანგული გაზეთის აღიარება

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის ფინანსური წრეების გაზეთი „ეკო", რომელიც პარიზში გამოდის, ეხება რა აღმოსავლეთისა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საკითხს, წერს: „...ეკონომიკური და ფინანსური სარგებლობა, რომელსაც ევროპის ქვეყნები იღებდნენ თავიანთი პროდუქციის გატანით აღმოსავლეთში, საშუალებას აძლევდა მათ წარმატებით დაეძლიათ ომის შედეგები და დაესახათ თავიანთი ეკონომიკის რეკონსტრუქცია...

აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტამ გააუარესა მდგომარეობა, რადგან დასავლეთის ექსპორტს დაუხურა მსოფლიოში ყველაზე ფართო ბაზარი..."

მშვიდობის 17 მომხრე გარიცხეს ლეიბორისტული პარტიიდან

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის რეაქციული ხელმძღვანელობა აძლიერებს ინგლისში მშვიდობის მოძრაობის მონაწილე ლეიბორისტთა დევნას. ლიდსიდან (იორკშირის საგრაფო) მიღებული ცნობით, სპენბოროსა და ბრიგჰაუზში ლეიბორისტული პარტიიდან გარიცხეს 17 კაცი, მათ შორის მუნიციპალური საბჭოს 3 წევრი და ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის აღმასკომის 3 წევრი, იმისათვის, რომ ისინი არიან მშვიდობის დაცვის სპენის ველის ჯგუფის მონაწილენი.

პარტიიდან გარიცხულმა ლეიბორისტმა ქალმა აინისონმა „დეილი უორკერის" ლიდსელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ მშვიდობის დაცვის სპენის ველის ჯგუფი კვლავაც განაგრძობს მუშაობას და რომ იგი აძლიერებს თავის გავლენას, რადგან არავინ არ იწონებს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის ლეიბორისტული პარტიიდან გარიცხვას.

პოლიციამ გარეკა სტუდენტთა დემონსტრაცია კარაჩში

კარაჩი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ივნინგ ტაიმსი" იუწყება, გუშინ კარაჩში სინდის კოლეჯის შენობის წინ გაიმართა სტუდენტთა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3.000-მდე კაცმა. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ მნაშვნელოვნად შემცირდეს სწავლის ქირა და სხვა შესატანი, გადიდდეს საერთო საცხოვრებლების რაოდენობა, შემოღებულ იქნას უფასო სამედიცინო მომსახურება.

მიტინგის შემდეგ სტუდენტები გაემართნენ განათლების მინისტრის ფაზლურ რამანის რეზიდენციისაკენ და მოითხოვეს მისი გადადგომა. მოვიდნენ შეიარაღებული პოლიციელები, რომლებმაც სტუდენტთა დემონსტრაციის გასარეკად გამოიყენეს ცრემლმდენი გაზები და ხელკეტები.

როგორც სტუდენტთა წარმომადგენლები აცხადებენ, პოლიციის თავდასხმის შედეგად დაჭრილია 34 სტუდენტი, მათ შორის სამი — სერიოზულად. 25 სტუდენტი დააპატიმრეს.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობები საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისა, რომლებიც გმობენ პოლიციის მიერ ცრემლმდენი გაზებისა და ხელკეტების გამოყენებას სტუდენტთა მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ და მთავრობისაგან მოითხოვენ დაკმაყოფილოს სტუდენტთა მოთხოვნები.

უკანასკნელი ტურის წინ

მალე შეჯამებული იქნება ჰადრაკში თბილისის პირველობის გათამაშების საბოლოო შედეგები. 7 იანვარს სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის" საჰადრაკო კლუბში გაიმართა მე-14 ტური.

ყურადღების ცენტრში იყო გათამაშების ლიდერის თ. გიორგაძისა და ა. ჯაკობიას პარტია. თ. გიორგაძემ, რომელიც შავებით თამაშობდა, გაბედულად შესწირა მოწინააღმდეგეს პაიკი და შემტევი პოზიცია მიიღო. ფიგურათა გადაჯგუფების შემდეგ მან ძლიერი იერიში განახორციელა თეთრების მეფის ფლანგზე, მოიგო ხარისხი და მალე პარტიაც.

ლ. გერშკოვიჩს შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობის გამო დამარცხება ჩაეთვალა. პარტიაში გ. გაჩეჩილაძესთან. ჩემპიონატის ახალგაზრდა მონაწილის თ. კალატოზიშვილისა და ოსტატობის კანდიდატის ბ. ვეიზერის პარტია გადაიდო თ. კალატოზიშვილისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. ს. გოლუბმა დებიუტიდანვე უკეთესი პოზიცია მიიღო და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია პარტიაში ლ. შათაშვილთან. ე. მიქაელიანმა მოუგო ო. ელიოზიშვილს. ა. დავრანიანმ. პაიკაძის პარტია გადაიდო პირველისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

უკანასკნელი ტურის წინ ოსტატობის კანდიდატს თ. გიორგაძეს აქვს 11 ქულა 13-დან, ოსტატობის კანდიდატს ა. ბესლაეკს — 10 ქულა 13-დან.

ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრა

9 იანვარს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სტალინური პრემიის ლაურეატების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით სრული შემადგენლობით გაემგზავრა საგასტროლოდ.

ანსამბლი კონცერტებს გამართავს მოსკოვში, ლენინგრადში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

„ცეკვა „ქართული"

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის მივლინებით ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჯავრიშვილი წლების განმავლობაში მოგზაურობდა ჩვენს რესპუბლიკაში, იწერდა სხვადასხვა ხალხურ ცეკვას. გამოვიდა მისი წიგნი „ცეკვა „ქართული".

წიგნის „ცეკვა „ქართულის" განხილვას მიეძღვნა სხდომა, რომელიც საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ინიციატივით გაიმართა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში.

მოხსენება დ. ჯავრიშვილის წიგნის „ცეკვა „ქართულის" შესახებ გააკეთა ქორეოგრაფმა ა. თაბარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს წიგნი ქართული ქორეოგრაფიის საფუძვლიანი შესწავლის პირველი ცდაა. მასში მოცემულია მდიდარი, კარგად ილუსტრირებული მასალა. მართალია, წიგნს აქვს ნაკლოვანებებიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქორეოგრაფებს.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კ. მანჯგალაძემ, რ. ქორქიამ, ვ. ბაბუნაშვილმა, დ. მურღულიამ და სხვებმა.

კალატოზი არსენ წიკლაური — მძიმე მრეწველობის სანარმოთა მშენებლობის ტრესტის ტრესტი

რუსთავი. (საკ. კორ.). ამას წინათ ამერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს კალატოზთა ბრიგადირი არსენ წიკლაური დაინიშნა სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების ცენტრალური ბიუროს სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორად. სახელოვანი კალატოზი მუშაობის ნოვატორული მეთოდების პოპულარიზაციისათვის იმუშავებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მსხვილ სამშენებლო ობიექტებზე.

სამეცნიერო სესია

სტალინირი. (საკ. კორ.). აქ შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო სესია.

ქართველი და ოსი ხალხის ისტორიული მეგობრობის შესახებ მოხსენება გააკეთა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ვ. ალბოროვმა. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. აბაევი გამოვიდა მოხსენებით „სამხრეთ ოსეთის მთის ზონაში სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ".

საინტერესო იყო ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. ა. კალანდაძის მოხსენება „არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ ოსეთში (1952 წ.)".

პრემიერა ჭიათურის სახელმწიფო თეატრში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა საახალწლოდ მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის ჰ. მუხთაროვის პიესა „ალანის ოჯახი".

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, მხატვრულად გაფორმა ნ. ქამუშაძემ. მონაწილეობენ მსახიობები: ა. დათუაშვილი, ა. მოსაშვილი, ნ. ქუთათელაძე, შ. ბანეთიშვილი, ა. ბარათაშვილი, ბ. ვაშაძე, მ. კუსიანი, ო. ზაზაშვილი.

წარმოდგენა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ლექცია

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში — 12 იანვარს საღამოს 8 საათზე, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. ლ. ლომეიერის ლექცია: „ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის აღმოჩენა და დასაბუთება".

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ზოოჰიგიენისა და ვეტერინარიის საფუძვლების კათედრის გამგის თანამდებობაზე (პროფესორი ან დოცენტი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, საბუთი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მინიჭების შესახებ, სამეცნიერო ნაშრომების სია, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომები და ფოტოსურათები.

მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 13, ტელეფონი № 3-67-83. კონკურსის ვადა: ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს რადიოგადაცემათა 11 იანვრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 10.30 — საუბარი — „გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირებულობის ლიკვიდაცია და მათ შორის არსებითი განსხვავების დაძლევა"; 11.10 — „პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება; 11.40 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 12.15 — სულხან ცინცაძის მინიატიურები კვარტეტისათვის; 12.45 — კონცერტი და-ძმა კირვალიძეების შესრულებით; 15.35 — რეპორტაჟი საქართველოს ხელოვნების მუზეუმიდან; 16.30 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 17.00 — რადიოჟურნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში"; 17.30 — ნორჩ რადიომსმენელთა თეატრი. **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — საერთაშორისო მიმოხილვა; 20.50 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 22.50 — არიები ოპერებიდან; 00.05 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ნიკოლოზ ბარათაშვილი (დღისით), ადამიანებო, იყავით ფხიზლად (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი (დღისით), მისი ვარსკვლავი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — მაკარ დუბრავა (დღისით), დირექტორი (საღამოს, აბონემენტი 35, 36); **სომხური დრამის** — ოქროს ქალაქი (12 ს.), ჩაძირული ქვები (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — სასიძოები; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 32, 12 ს.), გარდატეხა (აბონემენტი 42, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (10, 2 ს.), გიმნაზიელები (8 ს.); **თოჯინების** — დათუნიას ქოხი (12, 2 ს. და 30 წ.), ხაფანგში (4 ს. 30 წ.); **სანიტარული კულტურის** — სიცოცხლის ტყე.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ გიორგის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე პეტრე ქარუმიძე, შვილი თინა, სიძე კოტე, შვილიშვილები თამარ, ნანა გარსევანიშვილები იუწყებიან **სოფიო ივანეს ასულ ქარუმიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-I, 8 ს. გამოსვენება 11-I, 3 ს. შეროზიას ქ. № 7.

და მაკა მელიქიშვილი, რძლები თამარ, თინა, ძმისწულები ქეთო, ნატო, მედეა, ბიძა ნიკოლოზ, ანეტა, ქეთო, ლევან ყავრიშვილები, სიძეები ნ. გიგინეიშვილი, შ. ყიფიანი, ე. მალაშვილი ოჯახებით იუწყებიან **სოფიო ივანეს ასულ ქარუმიძის** გარდაცვალებას.

მუხრანის სარწყავი სისტემის მშენებლობის კოლექტივი იუწყება **ბაბინე ვახტანგის ასულ თალაკვაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე შარვა, შვილები ლამარა, ნათელა, თენგიზ, მული ნინო უდუმაშვილები, ბიცოლა ანა ნუკრაძე იუწყებიან **ნადეჟდა დავითის ასულ ჯერანაშვილი-უდუმაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-I, 3 ს. სამეურნეო ქ. № 10.

შვილი შოთა, რძალი ელენე, შვილიშვილები თამარ, ვარლამ ნიკარაძეები, ძმა პოლიკარპი, დები სონია, კატო, ელენე ოყროშიძეები იუწყებიან **ნუცა ანტონის ასულ ნიკარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-I, 8 ს. გამოსვენება 11-I, 2 ს. ტრამვაის ქ. № 5.

ი. მოისწრაფიშვილი, ა. ბოლქვაძე, ი. მაისურაძე, ვ. სვანაძე, ნ. ზუკაკიშვილი, მ. აბულაძე, გ. გოგოლაძე, კ. აკოპოვი, მ. მიქაძე, თ. მეზურნოვი, ო. კოპალაძე, გ. გიბადაძე, ი. მაისურაძე, ქ. გოგიტაშვილი, თ. გელაშვილი იუწყებიან **ლილი ოსების ასულ ყანჩაველიშენგელიას** გარდაცვალებას.

ნინო, მედეა, ვასილ, ანდრო, სულიკო, გულდამი, მერაბ და ნესტორ იუწყებიან რძლისა და ბიცოლას **მანია ივანეს ასულ კიკნაძე-ნიკარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-I, 8 ს. გამოსვენება 11-I, 3 ს. ბარნოვის ქ. № 96.

ნადია, იროდიონ ბერიები, ნინო, თამარ ნიკარაძეები, დარეჯან თხელიძე იუწყებიან რძლისა და ბიცოლას **მანია ივანეს ასულ კიკნაძე-ნიკარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-I, 3 ს. ბარნოვის ქ. № 96.

◁ ○ ▷

ამერიკა, რომელიც ინგლისს „მეგობრობას" ეფიცება, თანდათან ართმევს მას იმპერიის ნაწილებს.

(გაზეთებიდან)

ნახ. მ. ოთაროვისა.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 8-63-03; 8-82-05; პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, სამდივნ